საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზაჰესი

ზაჰესი, დაბა თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში. მდებარეობს საგურამოს ქედის სამხრ. მთისწინეთში, მდ. მტკვრის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 480 მ. შეიქმნა XX ს. 20–30-იან წლებში ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით, როგორც მუშა-მოსამსახურეთა დასახლება. ჩრდ.-აღმ-ით, გორაკზე, დგას XVII–XVIII სს. პეტრე მოციქულის ერთნავიანი ეკლესია. ზ-ის მშენებლობის დროს აღმოჩნდა I ს. აგურით ნაგები სამარხი. აქ მოპოვებული კეისარ ავგუსტუსის (ძვ. წ. 40–14 წწ.) ორი ცალი ვერცხლის ფული და გოტარზის (40–51 წწ.) ვერცხლის 2 დრაქმა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.